ხელშეკრულება № 74
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. გორი **29 ივნისი 2019 წელი**

ერთის მხრივ, ა(ა)იპ "გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტო" (შემდგომში – „შემსყიდველი") წარმოდგენილი მენეჯერის ლიანა კოვზიაშვილს სახით და მეორეს მხრივ **შპს დავითი=2011**, მისი დირექტორის ელგუჯა ჩაკვეტაძის სახით (შემდგომში - „მიმწოდებელი"), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია: ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდიის წესით ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს საბავშვო ბაგა - ბაღებისათვის გამოყოფილი სახსრებით პურის და ფუნთუშის პროდუქტების შესყიდვა.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია: პურის და ფუნთუშის მახასიათებლ;ები მოცემულია დანართი #1-ში.

2.2 CPV კოდი - პური-15811100 , ფუნთუშა-15811400

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

3.2.შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება არის – 17 280 (ჩვიდმეტიათასორასოთხმოცი) ლარი, დ.ღ.გ-ს და სხვა თანმდევი ხარჯების ჩათვლით, დანართი#1-ის შესაბამისად.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. 2019 წლის 01 ივლისიდან 2019 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით, სამუშაო დღეებში, ეტაპობრივად, ყოველდღიურად, დილის 08:00-საათიდან 09:00-საათამდე. მიმწოდებელმა შემსყიდველის მიერ მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, საკუთარი ხარჯებით უნდა უზრუნველყოს ახალი საქონლის მიწოდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული თანმხლები დოკუმენტაციით დანართი #2-ში მითითებულ ბაგა-ბაღებში.

5.2. მისაწოდებელი საქონლის დასახელება და რაოდენობა განისაზღვრება შემსყიდველისაგან ელექტრონული ფორმით წინასწარ მიცემული შეკვეთის საფუძველზე. შემსყიდველის მიერ ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი შეკვეთის გაგზავნის თარიღი ითვლება შეკვეთის მიცემის თარიღად, ხოლო შეკვეთაში დაფიქსირებული საქონლის მიწოდების თარიღი - მიწოდების თარიღად. შეკვეათა მიწოდებული უნდა იყოს მომდევნო დღეს დილის 08:00 საათიდან 09:00 საათამდე (მიმწოდებლს შეკვეთა გადაეგზავნება რეკვიზიტებში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე).

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

5.4. მიწოდებული პროდუქტების ყოველი პარტიიდან, შემსყიდველის მიერ გარკვეული ნაწილის დაწუნების (უხარისხობის გამო) შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია არაუგვიანეს მომდევნო დღის 09:00-მდე ჩაანაცვლოს ახალი პროდუქტით. მიმწოდებელი ვალდებულია ყოველი წუნდებული საქონლის აღმოჩენის შემთხვევაში, ერთჯერადად გადაიხადოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1%-ის ოდენობით.

5.5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილები მოცემულია დანართი #2-ში

5.6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიური ათვისებული საქონელიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

6.2. მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის - ლიანა კოვზიაშვილის ბრძანებით განსაზღვრული პირები.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველთან საქონლის მოწოდების შემდგომ მოხდება

5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს: - შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია: - მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად; - უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ

ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

9.6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 %-ისოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 01 ოქტომბრის ჩათვლით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

12.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

12.1.1. თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი;

12.1.2. თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება;

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან;

12.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

12.3.1. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

12.3.2. მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

12.3.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.

12.3.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.3.5. ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა წერილობთი შეთანხმების საფუძველზე.

13. ფორს-მაჟორი

13.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

13.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

13.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

15.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

15.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის - ლიანა კოვზიაშვილის ბრძანებით განსაზღვრული პირები.

15.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

15.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

16. სხვა პირობები

16.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ა(ა)იპ "გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი ღზრდის სააგენტო"	**შპს დავითი=2011**
ს.კ.: 418471022	ს.კ. 417875892
მის.: ქ.გორი, სტალინის გამზ.#16	მის: ქ.გორი ჭალის დასახლება, კვ. VI, გორკის ქ.,N 185
ბანკი: ეროვნული ხაზინა	ბანკი: სს „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი: TBCBGE22
ელ.ფოსტა: saagento18@gmail.com	ა.ა.: GE38TB7469336080100001
მენეჯერი: ლიანა კოვზიაშვილი	ელ.ფოსტა: elgujapetrovich@gmail.com
Liana Kovziashvili Digitally signed by Liana Kovziashvili Date: 2019.06.29 20:28:24 +04'00'	დირექტორი: ელგუჯა ჩაკვერაძე
	Elguja Chakvetadze Digitally signed by Elguja Chakvetadze Date: 2019.06.29 20:10:38 +04'00'

დანართი#1

#	დასახელება	მახასიათებლები	განზ. ერთ.	საორიენტაციო რაოდენობა	ერთეულის ფასი	მთლიანი ფასი
1	პური	ქარხნული წარმოების, თეთრი – გამომცხვარი პურის წონა 0.5 კგ (+-15 გრ.). პური - მიწოდების დღეს გამომცხვარი, კარგად გამომშრალი. თითოეული მოწოდებული პარტია იქნება დამზადებული პირველი ხარისხის ხორბლის ფქვილისგან. შემცველობაში არ იქნება ორგანიზმისთვის საშიში და აკრძალულ ინივთიერებები (ემულგატორების და კონსერვანტების სახით). თითოეული პური იქნება შეფუთული და მითითებული იქნება მოქმედების ვადა.	კგ	10500	1,46	15330
2	ფუნთუშა	წარმოებული იქნება ქარხნული წესით, უმაღლესი ხარისხის ხორბლის ფქვილისაგან. გამომცხვარი იქნება მიწოდების დღეს. მზა ფუნთუშის წონა 50 - გრ. ფერი, სუნი და გემო სასიამოვნო. ფუნთუშა იქნება შეფუთული და მითითებული იქნება მოქმედების ვადა	კგ	650	3	1950
3	სულ					17280

დანართი #2			
	მიწოდების ადგილი მიმართულების მიხედვით		
#	ქ.გორი	#	ტყვიავი - მეჯვრისხევის მიმართულება
1	#1 საბავშვო ბაგა-ბაღი გორი, თოიძის ქ.#2	1	რეხა
2	#1 საბავშვო ბაგა-ბაღი გორი, თბილისის ქ.#12	2	კარალეთი
3	#2 საბავშვო ბაგა-ბაღი გორი, თოიძის ქ.#3	3	კარალეთი 2
4	#3 საბავშვო ბაგა-ბაღი გორი, გორგასლის ქ.#6	4	პატ.გარეჯვარი
5	#4 საბავშვო ბაგა-ბაღი გორი, ყიფიანის ქ.#52	5	ძევერა
6	#5 საბავშვო ბაგა-ბაღი გორი, ლომონოსოვის ქ.#14	6	შერთული
7	#6 საბავშვო ბაგა-ბაღი გორი, ჩოჩიშვილის ქ.#4ა	7	ქიწნისი
8	#7 საბავშვო ბაგა-ბაღი გორი, ჯორბენაძის ქ.#5	8	ქიწნისის მეურნეობა
9	#9 საბავშვო ბაგა-ბაღი გორი, ბესიკის ქ.#4	9	სათემო
10	#10 საბავშვო ბაგა-ბაღი გორი, სოხუმის ქ.#5	10	მარანა
11	#12 საბავშვო ბაგა-ბაღი გორი, ამილახვრის ქ.#6	11	ტყვიავი
12	#13 საბავშვო ბაგა-ბაღი გორი, ჭანტურიას ქ.#7	12	ტირძნისი
13	#14 საბავშვო ბაგა-ბაღი გორი, აღმაშენებელის ქ.#82	13	დიცი
14	#15 საბავშვო ბაგა-ბაღი გორი, გორგასლის ქ.#6	14	მერეთი
15	#16 საბავშვო ბაგა-ბაღი გორი. ი.აბრამიშვილის ქ.#9	15	კარბი
16	#17 საბავშვო ბაგა-ბაღი გორი, შინდისის გზ.#9	16	ფლავი
17	#18 საბავშვო ბაგა-ბაღი გორი, ცხინვალის გზ.#5	17	ქვეში
18	#19 საბავშვო ბაგა-ბაღი ცხინვალის გზ. პირველი კმ.	18	ახალუბანი
19	#20 საბავშვო ბაგა-ბაღი სუხიშვილის ქუჩის მიმდებარედ (ვერხვების დევნილთა დასახლება)	19	მეჯვრისხევი
#	სკრა-ხიდისთავის მიმართულება	20	ზერტი
1	ხიდისთავი	21	ახრისი
2	უფლისციხე	22	ხელთუბანი
3	ქვახვრელი	23	ბერბუკი

4	ატენი	24	სვენეთი
5	ბნავისი		
6	სკრა		**შინდისი-ვარიანის მიმართულება**
#	**შავშვების მიმართულება**	**#**	
1	შავშვები	1	ახალდაბა
2	შავშვების დევნილთა დასახლება	2	ვარიანის მეურნეობა
3	ზეღდულეთი	3	ვარიანი
4	ბერშუეთი	4	საქაშეთი
#	**ტინისხიდი - ორთაშენის მიმართულება**	5	შინდისი
1	ტინისხიდი	6	ფხვენისი
2	ორთაშენი	7	ნიქოზი
		8	ქვემო ხვითი